

კვირა 3 აპრილი 1916 წ.

ფასი 12 კაპ.

რედაქციის აღმასი: თბილისი, ოლდას ქუჩა № 6.

# კვირა

# მაირაძე

იუმორისტი  
უზრუნალი

№ 14


კომედია „ღალატი“, შედგენილი პ. გოთუას მიერ.



სურათი წარმოადგენს სცენას, რომა რუს-სომეხთა ხმებით გასული ქართველი  
ხმოსნები გამოდიან საარჩევნო ყუთის თეთრი კარებიდან.

## კითხვა-პასუხი.

პაროვენის ვეახელ (გოთუას),  
ყუთიდან ამოღილა  
და გათეთრებულს, ჯერ კიდევ  
თავს თხშივარი სდიოდა.  
ვკითხე: — ესოდენ ქართველნი  
რაგვარად გამითეთრდითო?  
აყი ამზობენ: „ყორანი  
არ გათეთრდება ხეხითო?“  
მომიგონ: „კენჭსა და ქვიშას  
შვა უძევს დიდი ზღვარით.  
სომხებს და რუსებს დავსტუურ,  
ჩვენ კი ვუთხარით ვარიო“.  
ვკითხე: — მაშ რუსი კეილი  
რათ გაათეთრე ბიძია?  
მომიგონ: — კუტა, ის კაცი  
ქართველი ერის სიძეა.



## კერძო მიწერ-მოწერა\*)

უფალო თაგუნა!

თუმცა პირადათ ვერ გიცნობ, ან უკეთ რომ  
ვთქვა, სწორეთ იმიტომ რომ პირადათ ვერ გიცნობ  
„შენობით“ უნდა გელაპარაკო.

„თქვენობით“ ლაპარაკი, დამეთანხმები, არ  
სჩევია ქართველ ენას; ეს „თქვენ“, როდესაც ერთ  
კაცს მიმართავ მრავლობითი რიცხვით, — სრულიად  
უცხოა ჩვენი ენის ხასიათისთვის. ზრდილობის ან  
მორიცხვისა და პატივისცემის გამოსხიატავათ მრა-  
ვალი სხვა საშვალება მოეპიტება ჩვენს დედაენას და

\*) თუმცა ეს წერილი სახუმარო კილოზე დაწერილი  
არ არის, რედაქცია მაინც ადგილს უთმობს მას, რადგან  
პერიქობს, რომ შეი საყურადღებო საკითხია დასმული. ბ.  
თაგუნას პასუხს უახლოეს №-ში მოვათხესებთ.

„თქვენობა ნაძალადევათ და უსაფუძლოთ შემოვი  
ღეთ იმ დროს, როდესაც ყოველსავე შობლიურა  
განზრახ ვივიწყებდით და უცხოს ვეპოტინებდით  
სულელურის სიხარულით...“

შენს წერილებს „ეშმაკის მათრახში“ გულდა-  
მით ვკითხულობ ხოლმე. პირში ძრახვას ვარ ჩვეუ-  
ლი და გულახლილათ გეტყვი: ნიქს შენს ნაწერებ-  
ში მე ვერა ვხედავ. წერის უნარი გაქცეს, მაგრამ ნა-  
პერწალი, ღვთისური ცუცხლი, შავ სტრიქონებს  
რომ აელვარებს, გაკლია. მაინცა და მაინც შენი  
ნაწერის კითხვა მოსაწყენი არ არის და თუ ნა-  
დყილ სიამეს ვერ აგრძნობინებს კაცს, გაართობს  
მაინც ხან და ხან. ჩვენს დროში კი ესეც დიდი  
ლირსება არის.

ვინიცის, ვერგა შენ იწყინო კიდეც და სთქვა:  
ვინ არის ეგ მეტიჩარა, არამყითხე, მე, სრულიად  
საქართველოს მეორე იუმორისტს, ასეთ რასმეს რომ  
მიბედავსო.

მართალია შენ მეორე ხარ, როგორც იუმო-  
რისტი, (პროფესიონალ იუმორისტებს ვანგარიშობ)  
საქართველოში, მაგრამ ნუ დავიწყებ, რომ ამ გვა-  
რი პროფესიონალი იუმორისტი ჩვენში... მხოლოდ  
ორია, და მაშასაღამე შენვე უკანასკნელი ყოფილ  
ხარ.

ეს იმასა ჰგავს, ერთმა ქართველმა ახალგაზრდა  
რომ დაიკვეთა, აღმოსავლეთის ფაკულტეტი უპი-  
ველებათ გავათვეო, და ბოლოს აღმოჩნდა, რ-  
იმ წელიწადში მხოლოდ იმას გაეთავება კურსი  
ერთად ერთს, ასე რომ, ძალიანაც რომ სდომოდ  
„მეორეთ“ ვერ გაათვებდა.

ესეც არ იყოს, მე „მეტიჩარა არამყითხე“ ამ  
გახლავარ, და ამ წერილის ბოლოში რომ ჩემი ვი-  
ნაბობა გაფამელავნო, შენც დარწმუნდები, რომ ჩემ  
აზრი ყველა ქართველ მწერლისთვის საყურადღებო  
და ფასდაუდებელია.

მაგრამ სიტყვა გამიგრძელდა და ისევ საგან-  
ვუბრუნდები.

უმთავრესი ნაკლი შენი „შემოქმედებისა“ (ნუ  
იწყენ ამ ბრჭყალებს!) ის არის, რომ ზომა, ზომიე  
რება, არ იცი. ზომიერება „მეშჩანური“ ოვისებაა  
მართალია. მაგრამ მწერლისათვის ეს „მეშჩანური  
ოვისება ღილ რასმე განძს შეადგენს.

შენ კი ეს განძი არა გაქცეს. ისეთ დროსა ც  
ალაგას გადააჭირებდ ზომას, რომ სწორეთ იმ ფურ-  
ემსგავსები ხოლმე, რომელმაც იწველა იწველა, ბო-  
ლოს წიხლი ჰკრა და დალვარა.

მაგალითებისათვის შორს არ წავალ. აი, თუნდ, 12 „ეშმაკის მათრახისა“!

თქვენ (შენ და „ეშმაკი“) სასაცილოთ აიღეთ ლიტერატურული მოვლენა, „ცისფერი ყანწები“. ჟაცინვის საგნად გაიხადეთ უმთავრესათ ერთი მხარე ამ მოვლენისა: პორნოგრაფია. მაგრამ ისე გადაჭარბეთ ზომას, რომ „ყანწების“ რეკორდს აღემატეთ და თვით თქვენი № ბევრათ უფრო პორნოგრაფიული გამოდგა, ვიდრე თქვენგან ყბადაღებული „ყანწები“.

ეს კიდევ არაფერი. ჯანი გავარდეს „მოვლენას“ და ამ „მოვლენის“ უშნოთ გაყილვას! თქვენ არ დაინდეთ პიროვნებანი (თქვენი დამახასიათებელი ყოვლად საზიზღარი ჩვეულებაა) და ლაფში ამოსვარეთ ისეთი კაცები, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვს ჩვენი საზოგადოების წინაშე.

რა უფლების ძალით იყალრე შენ და შენმა „primus ego“-მ, ეშმაკი, გრიგოლ რობაქიძის ასე უდიერათ და უზრდელათ გაბაიბურება და დამკირება.

განა თქვენ არ იცით, ვინ არის გრ. რობაქიძე და რა ღვაწლი მიუძღვის მას ჩვენი ერის წინაშე?..

გრიგოლ რობაქიძე ის მოღვაწე გახლავთ, რომელმაც თავის პიროვნებაში გაასახიერა სინთეზი ასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურისანობით, შეათანხმა ქართული და ევროპიული (ამ სიტყვების საუკეთესო მნიშვნელობას ყველისხმობ) დასწყისი და წარსდგა თავის ერის წინაშე, ვითარცა იუშეს ზეზსთადამიანი გრძნობა-გონება-დაჩილუნგებულ „აღმიანთა, მეტის მეტად აღამიანთა“ წინაშე.

გრ. რობაქიძე ის ქლიბი და კვერია, ობ-მოკიდებულ ტრადიციებისა და უზნეო ზნეობათა ბორკილებს რომ სქრის და ამსხრევს არა მხოლოდ ზეპირ სიტყვით, რომლის ნამდვილი ჯადოქარია, არამედ ლიტერატურასა და, ასე გასინჯე, თვით ცხოვრებაშიაც.

გრიგოლ რობაქიძე არის პირველი მსაჯული შემცირებისა (arbiter elegantiarum) საქართველოში და ნამდვილი რევოლიუციონერი ესთეტიკურ შემოქმედებისა, ენაშემცვრობისა და მეტყველების სფეროში.

გრიგოლ რობაქიძე პირველია, თანამედროვე ქართველობას რომ სრულ ორატორათ მოევლინა. ის ერთად ერთია, ჩვენს მწერლობაში ერთსა და ივავე დროს სიტყვა—ძუნწობისა და სიტყვა—უხვო-

ბის საოცარ შეთანხმებას რომ გვიჩვენებს (სიტყვა—ძუნწია, რადგან შეუგნია სიტყვის მოქირნეობა და თადარიგიანობა (ეკონომიკა) და სიტყვა—უხვია, რადგან ლექსიკონი მისი მეტყველებისა დაუშრეტელია).

გრიგოლ რობაქიძეს თამამათ შემიძლია კულტუროსან ქართველის ნიმუში და ქართველი ერის სხვა ერთა წინაშე გამომჩინებელი ვუწოდო. საქმია გაიხსენო ამ დღეებში მიცვლილ სოციოლოგ, მ. მ. კოვალევსკის, სიტყვები, რობაქიძისთვის რომ სთქვა პეტროგრადში, როცა უკანისაკენტვილი ილია ქავებაძის სახსოვრათ გამართულ საღამოზე შეუდარბელი სიტყვა წარმოსთქვა, და შენ დარწმუნდები, რაოდენათ ძერფასია გრ. რობაქიძისთანა მოღვაწე კველვინ დავიწყებულისა და აბუჩათ აგდებულ ქართველი ერისთავის (იმ მ. კოვალევსკის სიტყვები: „რომც არ გვცნობო და საქართველოს და მისი წარსული კულტურული ცხოვრების მრავალსახიერობა და სიღიადე, საქმია იყო მოგვესმინა ყოვლად ნიჭიერ კაბუკის გრ. რობაქიძის საუცხოო სიტყვა, რათა გადაჭრით მეთქვა: იმ ერს, რომელსაც ასეთი ახალგაზრდა თაობა ჰყავს, დიდებული მერმისი მოელის“)...


ესლა გეკითხები, უფალო თაგუნა: რა მიზეზია, რომ ასეთი პიროვნება შენი თხუნჯობის სარბიელზე გაგიგდია და წამდაუწუმ ხელწმოსაკრავთ გაგიხდია?

ამ კითხვას შენ ვაჟკაცურათ ვერ უპასუხებ, რადგან ასეთი პიროვნება შენი მიერ საკუთარ თავის დამარხვას დაედრებოდა. ისევ მე გავცემ პასუხს ჩემგანვე დასმულ კითხვას:

მიზეზი ის არის, რომ (მაპატივე გულახდილობა) უნიჭობა შურიანობის მშობელია, შენ გაკლია ის, რაც გრ. რობაქიძეს, უხვად აქეს მიმაღლებული და ვინაიდან ვერ მისწვდები მას, გსურს, რომ დაამცირო და ყბად იღლო.

ამით ვათავებ წერილს და გირჩევ, თავი დაანები იმ სამარცვებინ ჩვეულებას, რომლის მიზეზი მხოლოდ უძლური შურიანობა არის.

შენი კეთილის მსურველი ბუზანკალი.



## არქაკას ჩივილი.

შეწექმე არქაკა მოდის ბაზრიდან სანთვაგით ხელში. სადაშა. ცოტა გადაქულშია და ეშეზე მოსული მდერის: „ჰარზე გაქეს სალი, შეკვით ფალი, კოცნა მსუნს შენი“...

გართანუში, (ცოლს ეძახის) გენაცვალე კარალინგა სახეში. იზვინი, დუშა მოი, რომ ცოტა დავაგვინე სადილის პრაგიზია, მაგრამ ნიჩავო, მე ხომ არა ვარ მინავათი! დამპატიუეს და ცოტა გადავხუხე. ვა წელიწადში ერთხელ ღვინო მეღირსოს და მაშინაც ატკაზი ვთქო! ეე, მარტოე. ბუთლიკა მანეთი ლირს, შუტკა შორლი! ღმერთმა ააშენოს იმათი ოჯახი, რომ პირი გამასველებინეს და გამაჭრისტიანეს, თორემ გავთათრდი უფლის მაღლმა! ისევ სხვა თუ მიზამს უგაშენიეს, თორემ მე ვინ მამაქვავა ღვინის ფული! მილოცადელხანოვის აწანილი მაულიც რომ მე დამიმტკიცონ, მაინც ვერ გახდედავ სობსტვენი აბეჭდეჩენით ღვინის ყიდვას. ვა, ვა, კაცო, ბოთლი მანეთი რა ბოტკინის კაპლია, თუ უშვილობის წამალი! ვერა, ძმის, მილიონჩიკი რომ გავხდე, მაინც მაგ ფასს არ მიისცემ ღვინოში. არა, ეს ჩემი დედაკაცია ტუტუცია უფლის მაღლმა, დარღდყა რაღა! „ნუ დალევო“. ჩიქო, დამპატიუეს, „უგაშენია გამიკეთეს და მაშ არ დაგლიო“ არა, ის თუ ტუტუცია არ არის, იმას რა ენაღვლება მე რომ მუქთა კუბოში ბალდადური ჩამოუარო! სხვის ქელებში რომ ჩემი კვდარი ვაცხონო, რაზევ ეტა ბოლშოი გრეშნო? ვა, ჩემსას ხომ არა ვერა, სხვისას ვერა, კამუ კაკო დელო! ვიცა ქელი მზმდეგბა, ს აბალლარი და ისე გამთათხავს, რომ მთელი პაერნი კამანდის შლანგები ერთათ რომ მშეაბუნონ. წინ და უკან, მაინც ვერ გამრეცხავენ. მერე რა ღონიერია ის წყეული ისა! თუ გუნებაზე არ არის ბერევის რომ დატრიალდება გიში ბულასავით და გერმანული ბულემიოტივით დამყრის მუშავებს, გვერდებს სულ დალნაბოინი ზარბაზანივით გააქვს ბაგაბუაი! ერთ ღამეს რაღაცაზე გამიჯვრდა და ისეთი წიხლი მკრა, რომ კრაოტიდან რომ წამოველ, როგორც რედისკა, ისე დავერქვი კისრით. დამაჯდა ზევიდან და როგორც ნაკლული ტიკი, ისე დამიჭანჭყარა! ნჯლრევას ვი-

ნა ჩივის, ქრისტიანო ეს უზარმაზარი დედაკაცი რომ დამეცა, როგორც სამაპევიკინი პაპიროზის ქალალდი, ისე გამათხელა. ვყვირი: ვართანუში, მოი სალავეი, მოი კაჭკაჭ, მოი ყვავ, ნუ მამკლამ, თორემ ხანდახან მეც გამოგადგები მეოქი. ბერი ვერ ხვეწე, მაგრამ სანამ სულ არ დააფრინა ის მოგროვილი ჰოპოპები, მანამ არ მომშორდა ვიცი ეხლა გადაკრულში რომ დამინახამს ნამდვილათ დამეტაკება სოროკდეა სანტრიმტროვი უშმარასავით და ვინ იცის ნახალოვეაში გადამისროლის! ვა, რა ძალიან ფინთი და უუსანი რამ არის, მაგრამ ლუბოვნიკობაც კარგი იცის იმ წყეულმა. როცა გუნებაზე ნამდვილი ლედინიცის კამფეტია რაღა! შეზარხოშებული და ეშხზე მოსული რომ გადაუსობ ხოლმე ხელსა, ისე ლწება ის შეითანი, თითქოს ყინვარი შაქარია! ვა, ერთი უნდა ნიხოთ, მაშინ, როგორ აქანებს იმ კუდს, გვეკონება გორიშკოი უპრავის საათის მაიაწნიკია! ნამდვილი ფუტურისტია უფლის მაღლმა!

ეხ, მახლას... ვართანუშას კიდენ გაუძლებს კაცი, მაგრამ მა პრავიზიას რა უნდა უყოს აზმიანნა! ქრისტიანო, გირეანქა ხორცი და ორი აბაზი!! მერე რა ხორცი კაცო! მიცვალებულს რომ საფლავზე დაუკურთხო იმის ზაპახით მთელი ხოჯივანქის კვდრები დაიბნიდებიან და წამოცვივებიან, ისეთი გლინო რამ არის! ვა, ვა, ვა, აფსუს, ძველო დროებაზ! სამ მანეთად ხუთი ბიჭი ქალაქიდან საიკიმდინ მივიდოდა ქერიფითა. ეხლა თუმანიც რომ დახარჯო, პასლენი დახლიდტრის ყურის დალაბანდამდინაც ვერ მივა შენი ქეიფი! კაცო, რა პრავეზია, რა სხვა, ყველაფერს ცეცხლი ეკიდება. ადამიანო, წყვილი ჩექა თოხი და ხუთი თუმანი სად გაგონილია მოდი ეხლა და ჩემისთანა ქეციანშა საპუნიქმა იცხოვრის რითი, როგორ? არა რომელი სუმშეჩი შემაკერინებს ხუთ თუმნიან ჩექმებს! ყველა, ყველა, მაგრამ ეს ტყავი რამ გააძირა ასე ბეზბოენათ, მიკვირს ქრისტეს მაღლმა! კაცო, ქრისტეს დაბადებიდან დღევანდლამდინ იმდენი ტყავი არასოდეს არ გახდილა, როგორც ამ გაინობაში ვაკრებმა ხალხს ტყავი გააძერეს! მერე სად წავიდა ამოტოლა ტყავი! ეტა პრამა უდივიტელნი დელა ეი ბოლოს! ვა, ვა, ვა, ეს რა ამბავია! გირგანქა პალიში ხუთი მანეთი!!! წყვილი ჩექმა ხუთი თუმანი ეე!!! ისიც ვისაც აკურატნი რაზმერის ფეხები აქვს! ზოგიერთს იმოტოლა ვერანი ფეხები აქვს, რომ

ერთ მეხაშეს აბეზპეჩენიას გაუჩენს სლაბოდნათ. მოდი ეხლა და იმისთანა უყალიბო ფეხის პატრონსაც აბინოვენი ფასებში შაუკერე! რა ექნა ძმო, ხელს არ მომცემს. მადლობა ღმერთს რომ ჩემს ვართანუშას შარშან შაუკერე პოლსაპოუკები, თორემ ეხლა რა თანხა გაუძლებდა! ვა ხუმრობა ხომ არ არის! იმის კანჭები რომ ნახოთ დევნადუატი ფუიმოვი ვადაპრავოდნი ტრუბა გეგონება უფლის მადლმა! ახლა ფეხები! ისე აქვს წაგელებული ის ლაპქები, თითქოს ორთაჭალის ეშაჩი მოსტიანი ქრისტიანო, იმის ფეხის ზომის ქაღალდს როცა ვერა ვშოულობდი ფრიალის კულით უზომავდი ხოლმე, შუტკა შტოლი! ხარავის მთელი პადოშების მობილიზაცია რომ მაახდინო, მაინც იმის პარა პოლსაპოუკს არ ეყოფა. მოდი ეხლა იცხოვრე ამისთანა ცეცხლის კიდეებში უფულო კაცმა! ოხ, ვაინავ, შენ მამგონს რა უთხრა! კაცო, რომ გაჭიმეს ეს ვაინა თათრის კედარივათა და ოღარ თავებენ, რა ამბავია? განა რა გახდა ეს გერმანია! მიდი რაღა და დადევი იმ პიფით გაბერილ მუცელში, რომ კიშკებმა სულ კამარინწყის ტანცაობა დაიწყონ. მე უნდა ვიყო, რომ ერთი ისეთი ჩავთხლაშო იმ შედნი ცილინდრში, რომ ზავეშჩანიის დაწერაც ვეღარ მოასწოროს. განა ამდენს ვალაბარაკებ.

მიდი რაღა, ჩააფარე,  
არ აცალო ატევეჩი,  
კაც ონ სმეეტ ცელომ სვეტუ,  
კრუგომ დელატ აბიეა!  
  
შამოჰკარი ავლაბრულათ,  
დაადევი საფეთქელში,  
ისეთ ჭიტლაყი ამოჰკარ,  
არ ენახოს თავის დღეში.

გოგია.



## უსტარი ეშმაკს.

უფირილიდან.

ძია, ეშმაკო! ისმინეთ  
მცირე ვედრება ჩენია  
მათრახი წამოგვაშველეთ  
თანაარს მყოფი უენია,  
და ინახულე ყვირილა  
დიდათ ცნობილი ძველადა  
მტერისა — მტრულად დამხვედრი,  
მეგობრისათვის ქველადა.  
ცხრაას ხუთს მოვარდ-ყვავილე  
მისი ბუნება დიადი,  
ეხლა შამბნარით მოცულა,  
გამეცებულა წყვდიადი.  
დაბაში დათარეშობენ  
ქვეწის ორგული პირები  
განჯოს და ნარდის თამაში...  
ეს არის მათი ფიქრები.  
სეირულ ნუნუას გადაჲკვრენ,  
ჩევენი ნაქები სტუმრები,  
შემდეგ კლუბისკენ გასწევენ  
სად თავს იყრიან უტუზები".  
ვასო იქ არის, პატარა,  
(ურუშაძეა გვარადა)  
სპეტაჲლი, ლოტო, თამაში  
მზათაა მასთან მარადა.  
მანდილოსნებიც იქ არის,  
ლამეს ათევენ ხშირადა  
და პაემანის შემდგომად  
დროს ატარებენ ტკბილიდა.  
ვაჭრები ბუქნას დადიან  
მომხმარებელთა ზურგზედა,  
დარდანელისა დაკეტვაშ  
სჩანს იმოქმედა მათხედა.  
კოპერატივის გახსნამა  
კვლავ შეარყია პაერი,  
ვაჭრებს ვინ ჩივა, იოსებს  
რამ შეუცვალა იერი?  
„ეროთბის“ წინააღმდეგი  
მისგან ხმა გვესმის ხშირია  
არ კმარა მარტო სახელი  
ხალხს მეგობარი სჭირია.

გუნდაძოვანთა კრებული  
თავადოვანთა გვარია,  
(რა უნდა იყოს სიავით  
ოდეს კარგიც რა არია).  
შაბიამანის შესახებ  
მოლია მთა და ბარია  
(ნდობის კაცია, ქონება  
სრულებრივ მას აბარია.  
არავინა ყავს კანტროლი  
ვინ დაუღება წინაო  
ბანკის საქმეებს აკეთებს  
თავისებურად, შინაო.  
„მეგობრის“ ფურცლებს ამშენებს  
იოსებ მეტად მარგია  
სახელის განლიდებისთვის  
ხანდახან წერაც კარგია.  
შენი მათრახი ამ პირებს  
მეტის მეტადა სჭარია  
არ მოგვატყუო იყოდე,  
არ შევვიცვალო პირია.  
სხვაც ბევრი არის დაბაში  
მათრახით შესახურები  
შემდეგისათვის გაკრიბებ  
ეხლა თუ გვემსახურები.

### მალაქია.

## ინტერვიუს მაგვარი.

გაზეთი „სამშობლოს“ რედაქტორის კარები წყნა.  
რათ შევადე. ბ. ია ეკალაძეს არც კი შეუმჩნევია,  
თუ როგორ ავეტუშე წინ. ის, ხმალ ჩამოკიდებული  
მიჯდომოდა საწერ მაგიდას და ღრმა ფიქრებს  
მისცემოდა.

- სალამი ბატონ იას!
- გა...გიმარჯოს!
- უკაცრავათ, ხომ არ შეგაშინეთ? ბოლოშ  
გინდი!
- არაფერია, ცოტათი კი...მარა...ოქვენ ვინ  
ბრძანდებით?
- მე?..
- ალბათ ფუტურისტი იქნებით?
- ჯვარი დაწერე ბატონი—ვიჯმი ყოველ  
გვარი ეშმაკეულებისაგან...
- მაშ რაზე გარჯილხართ?

— მინდოდა გამეგო, თუ რით გათავდა საქმე  
თქვენსა და პავლია იაშვილს შორის.

- დუღლი აუცილებელია.
- ნუ თუ უტყვიოთ ვეღარ მორიგდებით?
- რაო?.. ტყვიით კი არა, მაშა-პაპური ხმლით  
უნდა გადაწყდეს საქმე.
- მაშ რევოლვერებით აღარ მოხდება თქვენი  
დუღლი?

— არა! მე, როგორც ქართველი კაცი, ქარ  
თულ ტრადიციას ვერ ვუღალატებ.

ამ სიტყვის დაბოლოვებისათანავე წამოიქრა  
ზეზე, და შიშველი ხმალი ჰერქში შეათავაშა. ში-  
შით გულ-გახეთქილი მაშინვე მოვსწყდი იქაურობას  
და პირდაპირ მეგობრის რედაქტიაში ამოვყავი თა-  
ვი. იქ ჩვენი კრიტიკისი კიტა გაცხარებული ელა-  
პარაკებოდა ვიღაც ჭალარისანს.

— არა, არა გიორგი. თქვენ როგორ დაიჯე-  
რეთ ჩემი ფუტურისტობა? ნუ თუ თქვენ არ იცო-  
დით, არ შეიძლო მე ფუტურისტი ვყოფილიყავი  
იმისთვის, რომ ორმოცდა ხუთ წელიწადს გადავ-  
უილდი.

— თუ აგრეა რა გრჯიდათ მათ ქებას? მიეძა-  
ხე და კადნიერად გამოვეტიმე წინ.

— თქვენ... თქვენ რა გნებავთ? უსათუოდ  
სეკურდანტად იქნებით პეგზვნილი? თავაზიანად  
შემშევითხა და... მეც მოვლიბი.

— დიახ ბატონი, თქვენ იმათ აქებდით და...

— ეგ არაფერი მეგობარო, მე აბა ვის არ ვა-  
ქებ, თუ კი ოდნავ მაინც გვენათესავება, ჰოდა თუ  
ხათრი გაქვთ უთხარით ყველას, ყველას უთხარით,  
რომ მე ფუტურისტი არა ვარ. მე ერთი პრაკტი-  
კული მოღვაწე ვარ და სად მე სად ფუტურისტი  
ეს სულ ჩემი მტრების მოქორილი ამბავია.

— კარგი ბატონი, შევასრულებ თქვენს და-  
ვალებას.

— დიდათ დამავალებთ ბატონი, დიდათ! — ეს  
მითხავა, ფრანგული რევერანსი გამოკეთა და გამო-  
მეშვიდობა.

ბრლევარის მახლობლად პავლი იაშვილი შევ-  
ნიშნე. ერთ დაკეტილ მაღაზიას, პარაბელიუმით  
მიზანში იღებდა. მიუახლოვდი.

- სალამი ახალგაზრდა ფუტურისტი!
- გაგიმარჯოს ჩემ თვალთაგან პირველ ხი-  
ლულო!.. ხომ არ მენათესავებით?

— არა ბატონი, არა. ამ რევოლვერს ვის  
უდერებთ?

— არავის. მინდა ვსუადო, იმ დაკეტილ დუ-  
ქანს მივარტყამ თუ არა.

— მერე ეს რაში გესაჭიროებათ!

— როგორ თუ რაში ია ეკალაძე დუელ-  
ში გამოვიწვიო და მინდა ცოტა წავივარჯიშო.

მაშ ხელს აღარ შეგიშლით მშვიდობით.

— ნახეამდის, აწდამარადის პირველ ნახულო,  
პირველ შეხვედრამდისო მომაძახა და ისევ მოიმარ-  
ავა რევოლვერი.

ბელაძე.

## აკროსტისი-გამოცანა

(პათუმისთვის)

მუშების სისხლის წოვაში  
ის დიდი პრაქტიკანტია,  
ობობა შეჭერს ვუწოდოთ  
ანდა წურბელა, ზანტია.  
იგი განაგებს საქმეებს  
ბათუმის კიდით კიდესა,  
ჯილდოსაც, კარგა მოზრდილსა,  
იღებს ყოველთვის კიდეცა.  
ან კი რათ უნდა დასჯერდეს  
ცოტასა ასეთ დროშია,  
როს მის ხელთ არის უფლება,  
თვით კი ზის სალაროშია.  
არა ყოფილა შემთხვევა  
არვინ არს მოსწრებულია,  
დროზე, პირნათლად მუშისთვის  
რომ მას მიეცეს ფულია.  
რჯული,<sup>1)</sup> სირცევილი, ნამუსი,  
ფულზე გასცალა ხურდათა  
ერთს აღარ სტოვებს გაუჟუქვნელს  
თვით კი სხვებს ნათლავს ქურდათა.  
ნამუშევარის აღებას  
ვინც მოინდომებს მუშებში,  
ერთი თვე უნდა დაპყაროს,  
მას უნდა სღიოს ქუჩებში.  
მაგრამ მოხდება ხშირად, რომ  
ერთ თვეს გაგიხდის ორადა,  
ან და შენ წილ-ხვედრს შუაზე  
გაგიყოფს თანასწორადა.

<sup>1)</sup> ექს-ებრაელი გახლავთ.

ნახევარს მოგცემს და გეტყენს:  
„სხვას მერე გადაგიხავო“

(ორ ცალ კაპიკსაც არ მოგცემს  
თუნდ სამარქმდის მისდიო.)

ვინ იცის რამდენ საწყალ კაცს  
ასეთი ბუჩქებით

იმედ და სასო დაკარგულს  
იმისთვის „უჩქებია.“

კვახი


## მოსე ენერგე

ძმათ ეშმაკო

აი რა მდგომარეობაში არიან „მოკეთეს“ წე-  
რილის მერე ზუგდიდელი „მოცის კაცები“. პირ-  
ველ-ყოვლისა მოხდა სამხედრო თათბირი, დაესწრენ  
ყველა „დენერლები“. თავმჯდომარეთ ამოურ-  
ჩევიათ ვ. ალშიბაია და მდივნად მ. მდივანი. სამი  
წინადადება შემოსულა, სამივე ერთხმად მიუღიათ.  
პირველი: სასტიკი ომი გამოუტადონ „თან. აზრის“  
რედაქციას. იერიშების მიტანა რედაქციაზე ვ. ალ-  
შიბაიას მიანდევს. ის იყო მიიტანა კიდეც, მაგრამ  
ჯერ-ჯერობით კონტრ-იერიშებით უკუქცეულ იქნა.  
მეორე: ამოირჩიეს აგნტები: პეტრე, სიკო, ნიკო და  
სხვანი. „მოკეთეს“ საძებნელიათ ვ. ალშიბაია პპირდე-  
ბა მინგრელის მამულების მთელი შემოსავლის  
სამ მეოთხედ ნაწილს. ბ-ნი მდივანი აღუთქვამს აფ-  
თიაქის შემოსავლის ნახევარს, ხოლო პ. კეიდია კი  
მთელ მოგებას საკრედიტო ამხანაგობისას. ამიტომ  
აგნტების თითოს წვერებზე დადგებიან და ცხადია  
„მოკეთეს“ სიკეთეს არ დაყრიან. მესამე: „თავის  
თავად ცხადია“, რომ „სახალხო ფურცელში“ წე-  
რილი გაგზავნონ. კიდევაც გაუგზავნიათ და „18  
მარტის ნომერში მოუთავსებით, სადაც ვკითხუ-  
ლობთ „ვინმეს“ წერილს“. საინტერესოა მხოლოდ  
ერთი გარემოება, რატომ ალშიბაიაზე და, სხვებზე  
აზაფერს ამბობს ეს „ვინმე“ მეოცე საუკუნის „კო-  
რესპონდენტი“. ეშმაკო! თითონ ხელავ, თუ რა  
დღეში ვიმყოფებით. ჩვენი იმედი შენს მათრახის  
კუდზეა დამყარებული. კურთხეულ იყოს იგი აწ  
და პარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

გწერს შენი ზუგდიდელი მოციქული.

## ბრძოლა სიძვირესთან.



დაჭკრა მანქადა მოაკეცთა მდევს თავი.



## მდევ-კაცი.

საზღაპრო მდევ-კაცი,  
უხეში, ვეება...  
ალექსანდრ იყნიჩ  
ხატისოვს შეება.  
(„სიძვირეს“ ეძახდენ  
გოლიათს მდევ-კაცსა...  
„ქალაქის მოურავს“  
მუნ დამხთურ ზეუკაცსა).

სასტიკი ომია...  
ძალის არ ზოგავენ...  
ერიშით მიღიან...  
ლელავენ, ბორგავენ!

იელვა მახვილმა  
და თავი მდევისა  
მიწაზე დაეცა  
მკვესავი წყვევისა.  
რაინდი ბუტბუტებს  
მთრთოლვარე ბაგითა:  
— აღვაგსებ ჩემს ქალაქს  
აწ სანოვავითა!

მაგრამ ეგ რასა გავს?!

მდევს ერთის ნაცვლადა  
ორი, სხვა ამოსდის  
თავი ტანთ ახლადა.

იელვა მახვილმა,  
და იგი თავები  
მიწაზე დაეცა  
გლახ სანახავები.

სჩანს მდევ კაცს ულიმის  
ტკბილ საწუთოება  
და ორის სანაცვლოდ  
ხუთი სხვა მოება.

ძღვფოთდა რაინდი  
ამ სანახაობით

და კვალიდ ექვეთა  
მდევს გამბედაობით.

ხმალს იქნევს, ვითარცა  
თავადთა მარშლები...  
თავნი ძირს სცვივიან  
ვით პანტა ვაშლები.



მდევს, ოთხის მაგივრად  
რვა თავი მოება  
და რაინდს აშინებს  
ეს გარემოება.

იშიშვლოს მახილი  
და სისხლი დაღვაროს?  
ვაი თუ რვის ნაცვლად  
თექვსმეტი ახაროს!!

ეშმაკი.



## დეპეშები.

**დ. ზუგდიდი.** „თან. აზრში“ მოთავსებულმა წერილმა: „ვერიდოთ მოდის ხალხს“, ძილი და უფრთხო ზოგიერთებს. ამიტომ ჩვენ ამხანაგები პროტესტს, უცხადებთ ჯერ-ჯერობით „მოკეთეს“, რომ ეს „მოძრავი“ საზოგადოება გამოაცოცხლა და შეანძრია. ამ პროტესტის შემდგომ დარწმუნებული ვართ, რომ „მოკეთე“ ბოლიშს მოიხდის „მოძრავ“ საზოგადოების წიაშე, შევა მთ მდგომარეობაში და მით უზრუნველ ჰყოფს, რომ სიზმრათ და ცხადად არ ელანდებოდეს ამ საზოგადოებას „მისი“ სახე.

**იქიდანვე.** ზუგდიდის აფთიაქი ჩინებულათაა დაყენებული. რა არ გინდა რომ იქ არ იყოს: ყოველ დღე და ღამ არის გამართული კონცერტი: ცეკვაობა, ბუქნაობა, სიმღერა, ქეითი. სხვა და სხვა ქალაქებიდან არიან მოწვეული „სახელგანთქმულნი“ მომღერალი“ წამალს ხომ „ჩინებული“ იძლევიან: გარედან სახმარს კუჭის ტკივილზე აძლევენ, პეტრეს სახელზე გამოწერილს კი პავლეს.

ოჩიკოჩი

**ქუთაისი.** აქ გუშინ, დილის მატარებელით ჩამოვიდა ფოთის ქალაქის თავის მოადგილე ბ-ნი გალაქტიონ ტყემალაძე, ეძებს ცირკულიარს, რომლის ძალითაც ყოველ უსამოვნო მოსამასურის გაგდება უნდა ხდებოდეს 24 წამის განმავლობაში.

**იქიდანვე.** ხმა გავრცელდა ილია მანუჩარის-ძემ დასწრა ახალი საპერეტო დრამა, რომელიც ასე იწყებათ:

„მე ვარ და ჩემი ნაბადი  
გამთენებელი ღამისა,  
წინ მიძევს დუმა მსუქანი,  
მადაც კარგი მაქვს ჭამისა.“ ღ.

მუჯლუგუნი.

**ს. ერკეთი.** სწორეთ იმ დროს, როდესაც გერმანელებმა ვერდენის საწინააღმდეგო ოპერაცია დაიწყეს, ერკეთის მომხმარებელ საზოგადოების „დარიბთა საშვალების“ გამგეობაზე ახალი სისტემის გატერიბით შეიარაღებულმა ოპოზიციამ, უკაცროვათ, ინტრიგან-ავანტიურისტ-უზურპატორთა პრიუიმ, სასტიკი იქრიში მიიტანა. გამგეობა თავის

პოზიციაზე აღმოჩნდა და შერცხვენილი უკუ აქცია თავდამსხველინი. მოსალოდნელია, რომ ეს ვაუბა-ტონები ახლაც არ დაცხებიან. იმედს არ კარგავენ. მაშველ ჯარს ამზადებენ და ხელმეორეთ სამკედლო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის ემზადებიან.

რეანი.

**საზოგადოა.** წ. კ. ს. კრების შემდეგ, ყოფილმა გამგეობის წევრმა ქ-ნმა ან. სიხ—ძისამ განაცხადა: „შემოყარეს ბატონობ ქუჩიდან ჯიბგორები და იმით გაგვაშვევს.“ ჯიბგირების როლში უნდა იგულისხმოთ იდგილობრივი გლეხები, რომელთაც საწევრო გადასახადის შემცირების შემდეგ საშვალება მიეცათ საზოგადოების წევრობისა და თავისი სურვილის გამოთქმისა.

ქ-ნ ან. სიხ—ძისას, თამაბად შეუძლია ცნობილი ელენე დარიანის ლექსი ასე გადაკეთოს: „რისხევა მაგიურებს. ვერ ვიგუე შავი კაბანი“

**თავაკონი** (შემინებული გლეხის დეპეშა) 13 თებერვალს საზარელი საღამო გაგვითენდა<sup>1)</sup> სოფელს ყაჩილთა ლაშეარი დაესხა. საღამოდან მეორე საღამომდე საშიშარი წიგილ-კავილი ის-მოდა. ზოგს ყიშილბაშები ეგონა, ზოგს თსმალები, ზოგს გერმანელები, ზოგს იაპონლები. დაიკირეს ქალები ბაგშევები, განუჩჩევლიდ სქესისა. ტყვევებს მოუყარეს თავი და კონტრიბუცია მოსახლეებს. ვინც გადაიხადა გაანთავისუფლეს. დანარჩენები გაარეცეს წინ და ნაოლალევი მხრით გაუყენეს. სწორეთ მეორედ მოსელას მოგაზონებდა მტრების თავდასხმა. არავინ იცის, რა უქნეს თსმალებმა ტყვეთ წაყვანილებს. ცხადია ყველანი ამოსწყვიტეს.

თამაკონებული გლეხები, სასწაულით გადაწენილი<sup>2)</sup>

1) „საღამო გაგვითენდათ“, აი რას ნიშანებს შეიში

2) ახირებული საქმეა შიში, ჩვენმა რედაქტორმ ეჭვი შეიტანა ამ ცნობის სინამდევილეში და მიმართა ადგილობრივ კორესპონდენტს. პასუხი ასეთია:

არავითარი თსმალო, გერმანია და მით უმეტეს იაპონის ჩვენს სოფელს არ დასცემია. არც უბრალო ყაჩალები სწევებიან მას. ცნობა გაუშეიალებულია. ის პირი, რომელის შესახებაც შეშინებული გლეხი სწერს ჩვეულებრივი „სტრანიკები“ იყენებ: კილასონია, იაგორა და მათი ხელმძღვანელი ნესტორ კოკაია. ეს სამი კაცი შეშინებულ სოფელს მთელ ლაშერად მოეჩენა.

ნეტავ ვიყოდე როდის შეჩევეა ჩვენი ხალხი თავისს ხედოს.

ასეთია შიში. სამი კაცის ლაშეარი

# მესტვირული.

(თნისათვის)

დაუკარ ჩემო ქამანჩავ!  
დააღულუნე სტვირია...  
ეგრე რას დადუმებულხარ?  
სთქვი რამე, გახსენ პირია.

აბა გამედე, დაუკარ,  
რაც აქ ამბავი ხდებაო;  
როდესაც ჩენენში ახალი  
სალდათი იქრიბებაო.

ზოგისთვის სეტყვის ქარი ქრის,  
ზოგისთვის დარი დგებაო...

აგნტებ-მექრთამებები  
ფეხის ცერებზე დგებაო.

იციან, ბლომათ ქანქარი  
მათთვისაც დაითვლებაო.  
მათთან სიძირეს რა უნდა  
სხეის ხარჯზე გამოთვრებაო.

ვინც რომ მეტს ქანქარს აიღებს  
ხელობათ ჩითვლებაო.

იმათვის გასახარია

მათ მსხვერპლს რომ ტყავი სძვრებაო.

იმათი ტყავის ნაძრობი

კეთილ საქმეზე დგებაო..

(განა კეთილი არ არის  
რომ კარტში წაიგებაო?)

დუქანსა, სამიკიტნოში

დროებაც გატარდებაო.

დიდებს არ დავასახელებ

სხვა დროსთვის გამოდგებაო,

განკითხვის დღე რო მოაწევს

სუყველა გამოტყდებაო.

წვრილ-ჭეხა აგნტებისა

ჩამოთვლაც მიძნელდებაო

მათ რიცხვში ფიხო, იოსებ

უკან არ ჩამორჩებაო.

არც იმათ აწყენს შათრაპი

თუ ვასილს შეერგებაო.

დაუკარ შენი ჭირიმე

ნაქები ბიჭებშიაო,

ფარახეთელი შესტვირე

გთხოვს გიგო კრიჭეშიაო.

# უბრალო საუბარი\*)

სუფის ბაზრის ცხოვრებიდან.

ახალ ჩამოსული დაქრილი ჯარის კაცი ონო-  
ფრე, ყავარჯენით ხელში, და მისი მეზობელი  
ფირანა.

— აგი ყველაი კაი მითხარი, ონოფრე, მარა  
რეიზა არ მიჩივი, როის გათავდება აი ჩხუბი?

— მაგის პასუხი, ჩემო ფირან, ადვილი არა!

— ადვილი რომ არაა იმიზა გკითხავ.

— ომის გათავდება, ჩემო ფირან, მტრის და-  
მარცხებაზეა დამოკიდებული.

— კაი დაგვმართოს...

— შეძლებით კი შევიძლებთ, მარა ამას დროი  
უნდა... დროი კი ძვირი ჰყიჯდება.

— კაი რომ შენ მაინც პაწაი ხნით გამოგი-  
შვენ შინ.

— კაი გამოშობაა სტორეთ! ორფეზი წევედი  
და სამ ფეხი ჩამოვედი. ფირან! ჩხუბის ამბავი იქი-  
ნეც მეყოფა, შენ აქაური მითხარი რამე.

— ახალი აფერია ძამია და რაც არის რა  
საინტერესოა...

— ჩემდა ყველაფერი საინტერესოა.

— რა გითხრა, — აგი შენც იცი რომ ჩხუბის  
მიზეზით, ყორიფელ საქონელს...

— აი ყოლგან ასეა.

— ჰო, კი, ყოლგან ძვირი იქნება... მარა  
აქოური გატრები რომ შობა, იგი ღმერთმა ნურა-  
კაცს აქნიოს. კაცო! ერთი ალაბი ნარმა რა უნდა  
იყოს, და იმასც თუ მოახერხეს მანათად მოგყი-  
დიან. უნდა იყიდო, შიშევლი ხომ ვერ გეიარ.  
კიდევ კაი რომ ჯუმათის სტანციაში—კოოპერა-  
ციაში ყიდიენ პაწა მისაკარებელ ფასებში...

— კი მარა... კოოპერაცია ხომ აქანაიც ყო-  
ფილა, და პაწას მაინც გააიფებდა რაბეს.

— კი, აქანაიცაა, მარა შით პურის მეტი  
აფერია.

— არა ძამიავ, კოოპერაცია ძაან საქმეა.  
დღეს თუ მარტი პურია, ხვალ სხვაიც იქნება და  
ნელ ნელა წინ წავა.

\* ) უმორჩილესად გთხოვთ ეს „უბრალო საუბარი“ არ  
აურიცოდ ბ-ნ იგანე გომართელის „უბრალო საუბარში“. უმ-  
თავრესი განსხვავება იმშია, რომ ბ-ნი გომართელი ი „უბრა-  
ლო საუბარს“ „უბრალო მეითხველისათვის“ სწერს, ხოლო  
ბ-ნი ხოკა კერძო კი „ბრალიანი“ მეითხველებისათვის.

— კი, ვითომ არა თუ? ძან საქმეა მარა პაწაშა რომ თავს შეიწუხებდენ და რამეს მულმატებდენ სანამ თლა ტყავს გაგვაძრობდენ... ვინ იცის ხვალ ვინ დარჩება ცოცხალი, დღეში ხუთი გზობა ველი მობილიზაციას.

— ვაჭრობა ასეა ძამია, მარა აგი რაღაგზაა, რომ საქონელს დუქნების წინ კლავენ, რას შობიერ ბაზრის დეპუტატები და სანიტარები?

— აგი ჩემო ონოფრე, შეჩოული ჭირია, არც შენ გაგიკვირდებოდა ამ ერთს წელიწადს სხვგან რომ არ წასულიყოდი.

— ხომ ყავს ბაზარს ძეველებურათ დეპუტანტები.

— კი არიან ამორჩეულები... ზოგჯერ აპუზუნდებიან, ვითომ რამეს ვაკეთებთო, მარა მეორემესამე დღეს ერთს ან მეორე მოვაჭრეს ერგება ვახშის ან „პატარა ზაკუსკის“ გაკეთება და საქმეც მიფურჩდება.

— კაცო, მართალია კაი ხანია აქანაი არ ვყოფილვარ, მარა აქაურ ვაჭრებს კარგათ ვიცნობ და იგინი დეპუტატ-სანიტარებს ვახშამს გაუკეთებს?

— დეპუტატებს უკეთებენ, თუ სხვას...

— თლა ასეც არ იქნება შეტ რომ ლაპარაკობ, ჩემო ფირან.

— მე რომ მკითხო სტორეთ ასეა...

— ტყუილაი გყითხე თჯო თვარა, რაში გვეუსაჭიროება.... იგინმა იკითხოს, ვინც შით ცხოვრობს.

— რეიზა ჩემო წამია? სოფლის კაცი რომ ვარ, ვე და კას მეც ქე მივხები—კვირეში ერთს მაინც გამუალ ბაზარში და რომ წმიდათ გევირო და ღორის ბალანში არ ამოვისვარო, მაწყენს თუ?

— კი არ გაწყენს, მარა...

— რა მარა, ჩემო ძამია, მართალია, დღეს ჩხუბია ასე ქვია აირია ქვეყანა, მარა ვინც ცოცხალია იმას სიინდისი და პატიოსნება უნდა... ბარალამ ამასაც გეტყვი რადგან ლაპარაკში შევყველ რასაც აქანაი „მოღისეა“ ქალები შობიან.

— ფირან, შენ ქვეყნის აპეკუნობა ნუ გიყვარს, რა უნდა ქნას იმფერი სხვას რომ არ ექნას?

— რა ვიცი რა უნდა ქნას? დღეი ატყუებენ საწყალ ხალხს, შენს ციცას ხელობას ვასტავლითო, ახთიებენ სტავლის ფასს. ღამე კი, რაგარც ციცებს მოიშორებენ, იგინის „მასტერსტვოში“

არის ერთი ვაი უშველებელი და უხილებელი ამბავი, არა ძამიავ! ქვეყნის აპეკუნობა კი არ მინდა, მარა რაც ლამაზი და კაი არაა იმას კაცმაც უნდა ერიდოს და ქალმაც.

— ფირან ჩემო, იმ ქალებს დიეთუე და იგი მითხარი რა ქნეს სუფსაში თეატრს რომ აშენებდენ

— ჯერ იმ ქალების საქმე გამათვებიო...

— რაში მინდა იმ ქალების ამბავი, რაც უნდა იგი ქნან.

— რავა ჟავანებო რაც ქვეყანაზე ჭორია ყველა იმათი მოგონილია. გეიგებენ ამეს თუ არა გაბერვენ, და მოზღებენ მოელ დუნიას. ერთი კი უქნეს აქაურმა ზოგიერთმა ქალებმა, რომ ახლოს აღარ იკარებენ. მარა ამ ხანებში გამოუჩიდათ ვინცა კინის გზის ქალი და შეიძლება კიდეც გადაპარბოს იგენს.

დაანებე თავი კაცო, მითხარი რა ქნეს თეატრის აშენებაზე?

— რას იზამდენ, ვინცა მაღლიანებმა ქე შემოსწორეს პაწა ფარა, ფიქრობდენ კიდეც აშენებას მარა ამ უშველებელ ჩხუბში თეატრიზავის სცალია.

— რეთია ფარა თუ იცი? ან ხომ არ იმასუქნიან?

— რეთია არ ვიცი, მარა რაც შემოვიდა ქია ყველაი. კიდევაც გაასესხეს პაწა სარგებელს შემოიტანს, მარა ისევ ვაჭარს ასესხეს რომ უფრო კარგათ წეიყვანოს მისი საქმე.

— გიტყობა ძალიან გულმოსული ყოფილხარ ჩემო ფირან, ყორიელზე, მარა აგარ ღვთის წყალობით მალე ჩხუბი გათავდება და ყველის შეურიგდები.

— ჩხუბის გათავებას მივესწრობოდე თვარა, ქალებსაც და ბაზრელებსაც ყველას თავი უტეხია მე არ ვინაღლო.

სოკო კვერცხი



## საჩეკვეს ამბები.

ბატონი „კორდის“ პროვოკატურულ წერილს რომელიც გაზეთი „მეცობრი“-ს 115 ნომერშია მოთავსებული, დიდი ზემით მიექვება, ის ვითომ ინტელიგენტთა ჯგუფი, რომელსაც შრომის მოყვარეთა სახელით ნათლაცას ავტორი.

ამავე წერილში მოყვანილი ცნობა, აქაურ სამკითხველოს შესახებ, რომ იგი „უზრუნველყოფა-ლია“, სრული კეშმარიტებაა, რადგანაც სამკითხველოს კანკებს დღე და ლამ თრ-ორი კლიტე აქს, ცხადია იმ გონივრული მოსაზრებით, რომ გამგების თავმჯდომარეს, დავით ლექვინაძეს, შიგ არავინ შეეპაროს.

იგივე ლიტერატორ-პროვოკატორი „კორდი“ არწმუნებს მკითხველ საზოგადოებას, რომ „შრომის მოყვარე ინტელიგენტია დღე დღეზე ეპირებოდა კონსერატიული სავაჭროს გახსნასთ“. თუ რა დარგის „შრომა უყვარს“, ზემოხსენებულ ჯგუფს ცხადათ ჩანს ბ-ნი „კორდის“ მოღვაწეობიდან. კონსერატიული საზოგადოება კი მამა იკუბიშვილის მეთაურობით არის დაარსებული და არა იმ მცონარეთა ჯგუფის, რომელსაც მიეთ-მოეთი „კორდი“ ათვისებს.

ხმებია, რომ ამ არარაობის გამომხატველი ჯგუფის საპარიო წევრს ქ. კ. ი. მკაცრი წინადაღება მიუცია ერთი მასწავლებელი ქალისათვის: თუ გაბედავ და საჩერის ახლად დაარსებულ სცენაზე მიღებ რაიმე მონაწილეობას, დაუყონებლივ განდევნილ იქნები მასწავლებელთა კორპორაციისაგან. ის საუკეთესო ნიმუში ამ ენა-ტარტალა საქმე პატარა ჯგუფისა.

აქაური საზოგადოება დიდ საჯონებელშია ჩავარდნილი. შიშობენ: გაი თუ ზემო აღნიშნული მატყუარებისაგან ანაშისარებ ჰაერს, ზაფხულის სიცეებმა მოუსწროს და რაიმე უცნაური სენი გაჩნდეს. ასეოთ მოლოდინის თავიდან ასაცილებლათ განუძრახავთ ახლო მოქანალში ბატონი გშმაკი მოიწვიონ, იქნებ იმისმა სამართლინმა მათრახმა მოგვაშოროს ეს ბნელების მოციქულებით.

კვლინჭი.

## შერილი რედაქციას

ბ. რ. ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, დღემდინ არ მქონდა საშვალება პასუხი გამეცა ეშმ. მათ. № ნ-ში ხიდისთავ-ბუკარელ თანამოაზრების მიერ მოთავსებულ საბროტესტო წერილზე. ბუკარ-ხიდისთავის თანამოაზრენი მე ბრილს მდებენ, თითქოს კერძო ინტერესითა და შველფერებლად შევხებოდე მათ პიროვნებას. მე გამბობ, არავთარი კერძო ინტერესი არ მქონებია იმ ორი პიროვნების, არამედ მე ჩემი მოქალაქობრივი მოვალეაბა შევასრულე. კეშმარიტ ფაქტის აღსაღებნად ვიწვევ სამედიატორო სასამართლოში, რომ გორუ იმ ორ პირს, აგრეთვე ხიდისთავ-ბუკარის თანამოაზრებსაც. ჩემის მხრით მედიატორეთ ვასახელებ ქაშვარდი მეცრელიძეს. ვადას ვაძლევ დღიულან ამ წერილის გამოცხადებისა თუ დღეს. იმედია ისინიც დაასახელებენ მედიატორეს.

კოსახლილ.



„ეშმაკის მათრახის“ რედაქტირა ამით აცხადებს, რომ უსახელო ავტორებისა და უცნობ პირთა წერილები უურნალში არ დაიბეჭდება.

შემთხვევითი კორესპონდენტის ვინაობის და წერილში აღნიშნულ ამბის სისწორეს უნდა ამოწმებდეს ვინმე რედაქტირისათვის სანდო პირი.

სარედაქტირ წერილი უნდა დაიწეროს ქალალდის ცალ გვერდზე და ყოველ აღნუსხულ ამბავს თან ახლოებს საჭირო ახსნა-განმარტება.

რომ სარედაქტირ წერილი რედაქტირაში მოკლამდე არ გახსნან, საჭირო კონვერტზე აღრესის შემდეგ დაწერილს: „ეშმაკის მათრახისათავის“.

უმარკო წერილებს რედაქტირა არ იხსნის და დაწუნებულ მასალებს არ ინახავს.

ბისკვიტი. (ყვირილა) თქვენ იწერებით ვიღაც შანტაჟისტის შესახებ:

„ის გაფხატული მდიდრული დედა ჩატმები და წერ-ულებშიც სულ განასული ჭერნდა. დადა სირცებ-

და ასეთ განათლებულ ინტელიგენტ ადამიანისათვის ასეთი ურიგო საქმის ჩადენაა.

წვერ-ულვაშის მოპარსეისთვის თუ განათლებულისა და ინტელიგენტის მოწმობა უბოძეთ, მაშინ რაღაც იშამდით თავიც რომ გადაპარსული ჰქონოდა?

თვენი შეხელულობა რომ მართალი იყოს, ბან ბისკვიტო, თოთოული დალაქი დღეში ასია იდე ინტელიგენტს შეგვენდა. ჩიკ-ჩიკ, ფხიკ-ფხიკ და გათავდა!

ჩხარისპირელ ეშმაკს. არ დაიბეჭდება.

ჭკუის კოლოფს.

გაუწევ გადგიარ ტევ-დრესა,  
გეწევე აფთარ ვალგელშა,  
დაფეტაქები იმ გერაგს  
გაფნადგურებ იმ მგელსა.  
ავსა ძირშავე წავაცლი  
ადარ დაუტევ ნასხესა,  
გადმოვურიდები უკანე  
უკედას გახარებ ამასა.

გირჩევთ, პატენტი ამ „კოლოფის“ ტარებისა არავინ გამოგტყულსთ.

შეზლიანს. (სუფსა) თქვენ იშერებით:

„სუფსა დიდი სემრეწეველო ცენტრი შეიქნა, შიო უშეტეს, რომ აქ იქრიან თავს რეინის გზები ბაქოდან და ბათუმიდან“. ასეთივე „ცენტრებია“ ჯუმათი, ნიგოითი, ნატანები, ჩაქვი, ვინალან „თავს იყრიან რეინ ას გზები ბაქოდან და ბათუმიდან“. განსხვავება იმაშია, რომ მათ „შეზლიანი“ კორესპონდენტი არა ჟყვათ.

სუნაგს. (ლანჩხუთი) გვაცნობებთ:

„ო. ცინცაძისა და მორჩილების სამიერტნოში იქრიბებან გაქრები და ისეთ საქციელს ჩადიან, რომ კაცობრითობას არ შეეფერება“.

ვაი, თუ დანაშაულიც ისე გაზვიადებულია, როგორც სამიკიტნოში მოთაბაშე „კაცობრითობა“.

გ მესხელს. (ბორჯომი) არ მიგვაღია.

ხირხიპოლ-სიკინჭელაშვილს. (ხირგოული)

თქვენი ნახირხიპოლ სიკინჭელაშვილიევი სტატია არ გამოდგა და კალათისკენ წახირხიპოლიკინჭელაფლა.

კოსტა ლიკლიკაძეს. (ქუთისი) თქვენი სცენა არც გურულია და არც საინტერესო.

ჭინჭირაქას. (კუხი) თქვენი ლექსი ასე იწყება:  
დათვმა დათვობა გიგისრე  
გერცარა გაეხდა ამითი  
საწმუნოების სელი გვარ  
შეუძმაქაცდა უშმაებს“.

ჩვენ დიდი დამტასტებლები არა ვართ, მაგრამ ვთემობთ, რომ თქვენი ლექსი ძლიერ ახლოს უნდა იყოს დათვურ პოზისთან.

## „ეშმაკის მათრახის“ ხელის- მომწერთა საყურადღებოთ:

ვთხავთ ხელის მომწერლებს ურნალის ფული ვისაც არ გადაუხდია ადრე გამოეზავნონ, წინაღმდეგ შემთხვევაში „ეშმ. მათრახის“ გზავნა შეუწყებით.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით:  
Тифлиსъ, Ольгинская № 6, С. Тавартиклиадзе.

რათა გამოცემის ნება-რთვა არ დაიკარგოს, გამოვა აღდგომის წინა დღეებში მხოლოდ ერთი ნომერი იუმორისტული ურნალი

## „მათრახის“

(მათრახოსანის რედაქციით),

რომელშიდაც მონაწილეობას იღებენ: — ეშმაკეული, მ. ცხეირაძე, ბუტუნა, გოგია, შხანკოლა, ეშმაკის ფეხი, ბერი ქედანი, განჯის-კარელი, გურიანთელი და სხვანი.



აღსანერ ული აზამიანის შენჯველა!

## სუსტინატის ფაკულტეტი

5 წელიშადი გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი „რაპიდი“ გასასყიდად გამოვიდა, სამკურნალო ბაბქოს ნებართვით № 1295, სუსტატის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი“-ს პრეპარატით ათასობით ავათმყოფი სრულიად განიკურნა, რომელთანაც სამაღლობელი ჭერილები მაქსი. წამლობის ასეთი ნაკოფი უფლებას მაძლევს, პრეპარატი „რაპიდ“-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომქმედი საშუალებაა ამ სწორებისა, ვუჩიონ ყველას.

უკანასკნელ წლის დაკირვებამ კვლავ დაამტკიცა, რომ „რაპიდ“-ის პრეპარატით წამლობის შემდეგ სუსტნატი რომ არ მოჩიხნილოყოს ამისთანა შემთხვევა არ არის, ამისათვის გადაჭრით ვაცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ივალმყოფობა ჩემი გა- მოგონილ საშუალებით სამ კვირაში წამლობა საქართვის მოსარჩენათ, და „რა- პიდ“-ის შემწეობით სრულიად მოჩიხნილად უნდა ჩაითვალოს.

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსლების (გონიორე). წინააღმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელიც ჩეარა და არსებით განკურნებას ჰქილებოდნენ და ივალიკოფთ, შესაძლოა, გულიც გაუტყვდა ამ წმილობის უნაყოფობით და სამართლიანად შეუძლიანთ ეპვის თვალით შეპხდონ ჩემი წამალსაც — ამ შემთხვევაში მამის ყურადღებას იმ გარემოებაზე მივაჭრე, რო ჩემი რწმენა „რაპიდ“-ის უებრობაში უ ჩემი დაპირება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, ამის დასამტკაცებლათ ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ „რაპიდ“-ის როს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კუნძის) დაიბარებს, წამალთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელშერილი, რომ უკეთე არ მოარჩინოს, ფულს უკანვე დაუბრუნებ.

**ნიმუში ჩემის ხელწერილისა:** „მე, ამისა ქვემოთ ხელისა მომწერელი, ამ ხელწერილს გაძლევ ბატონს (მას და ამას) იმაში, რომ მივყიდე რა მას ჩემი „პირად“-ას ორი ფლაკონი, სუსუნატის წინააღმდეგ, თავდები ვარ, რომ ოცი დღის წამლიბის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაპქრება. თუ ალი შნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, ზაშინ ვალდებული ვარ რვა ზანგი დავუბრუნო“ (ხელ. მოწერ.).

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრს განკურნებულ ავალშოგებისაგან სამადლობელი წერილები, გადაწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვათავს ხოლმე ახალი მადლობის წერილები. ამ წერილების დეზანი (აუარებელი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მათი ნახვა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ, თუ რომელიმე შათგანი დღისას არ ეთანხმება, ვალდებული ვარ, გადავიხადო **1000** მანეთი ლომელიმე საზოგადოების სასახლეებით.


17. მ. ს., ბ-ნო დელამურე! დიდად გმ-დღობთ ოქვენი წამლის „რაპიდ“-ისათვის, რომელმაც ერთბაშათ იქონია კარგი გაფლენა. ძნელია განცხადების დაჯერება, მაგრამ ოქვენი განცხადება კომერციული მოსაზრებით არა ყოფილა, არამედ ავადმყოფს განკურნებას ურჩევს, ამაში თვითონ დატერმინირდი, განვეორებით გინდლით მაღლობას.

ନୟୁଗତର୍କଲ୍ପାଦି 14 ମାର୍ଚ୍ଚି, 1914 ରେ.

3. 6. 3. 6.

წალმობის სრულ კუტრისის, ორმაგ წყვილ ფლაკონის და კოლოფთ პილულის ფასი ცხრა ბანეთი. გაზაფრით და ფასდაღებით ათი მანეთი. ფასდაღებით გაიგზავნება შხოლოდ მაშინ, თუ ბედ წარმოადგენენ 3 მანეთს.

Съ требованіями и заказами обращаться исключительно кавказское отдѣленіе Московской Лабораторіи М. Деламури. Тифлісъ Эриванская плош. Пушинская 3 отд. э/м. верхний этажъ.



## აღმოსავლეთის ბრძოლის პირი.

ნებადაროსულია სამხ. ცენტ. სტამბა „შრომა“. რედაქ-გამომტ. თ. ბოლქვაძე